ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 03

ქ. ონი 25. 03. 2025 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მამუკა ყავლაშვილი.

სხდომას კომისიის 12 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.
მომხც. მ. ყავლაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.
მ. ყავლაშვილმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ონის მუნიციპალიტეტზე სულ გამოყოფილია 10 147 780 ლარი, რომელზეც უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფლის განვითარების ხელშეწყობის პროექტებზე, გამოყოფილია 640 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოფლებს თანამონაწილეობის კუთხით დაემატა 260 000 ლარი.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მისთვის გაუგებარია სოფ.ჭვებარში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჭაბურღილის გაკეთების გადაწყვეტილება მაშინ, როცა სოფელს ელ. ენერგია არ მიეწოდება.
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ დადებითად შეაფასა ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ უმთავრესია, მიმდინარე პროექტები განხორციელდეს ხარისხიანად და სამუშაო გეგმა-გრაფიკის დაცვით.
კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მამუკა ყავლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე